მოსამართლეებმა ფიცი დადეს

უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა ფიცის დადების საზეიმო ცერემონია გაიმართა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე ოთხმა მოსამართლემ - ბიძინა სტურუამ, დავით ახალბედაშვილმა, ბადრი შონიამ და დავით ნარიმანიშვილმა წარმოთქვეს ფიცი და პირველად ჩაიცვეს მოსამართლის მანტია.

ახალდანიშნულმა მოსამართლეებმა წარმატებით დაამთავრეს იუსტიციის უმაღლესი სკოლა. ისინი უფლებამოსილების განხორციელებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სასამართლოებში შეუდგებიან.

ფიცის დადების ცერემონიას რუსთავის სკოლა-ლიცეუმის უფროსკლასელები დაესწრნენ. სასამართლო ხელისუფლება მნიშვნელოვნად მიიჩნევს სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის სასამართლოში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

ფიცის დადების ცერემონიაზე დასწრებით აღნიშნული სკოლის მოსწავლეები უშუალოდ გახდნენ მოსამართლეთა საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ცერემონიის მონაწილეები.

ცნობისთვის საქართველოს სასამართლო სისტემაში მუშაობს 154 ახალი მოსამართლე, რომლებიც თანამდებობაზე გამწესდნენ მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის როგორც ძველი, ისე ახალი წესით. ამასთან, 2009 წლის მარტამდე სასამართლო სისტემაში ძველი წესით დანიშნულია 128 მოსამართლე, ხოლო იმავე წლის ივნისიდან მოსამართლეებად ინიშნებიან მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული კანდიდატები, რომლებმაც გაიარეს 10-თვიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ კურსს. დღეისათვის სასამართლო სისტემაში ახალი წესით დანიშნული 26 მოსამართლე მუშაობს.

154 ახალი მოსამართლიდან 85 კაცია, ხოლო 69 - ქალი. მათი საშუალო ასაკია 33,5 წელი. 27 მათგანს გამოცდა ჩაბარებული აქვს საერთო სპეციალიზაციით, 54-ს - სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით, ხოლო 73-ს - სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

ამჟამად 6 მათგანი მუშაობს უზენაეს სასამართლოში, 27 - სააპელაციო სასამართლოებში, ხოლო 121 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში.

სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ქურდობის მცდელობაში ბრალდებული სამი პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.ს

საქმის მასალების მიხედვით, ზესტაფონის რაიონის სოფელ აჯამეთში, მიწისქვეშ არსებული 7 770 ლარის ღირებულების წყლის მილების მართლსაწინააღმდეგოდ, ფარულად დაუფლების მცდელობაში გამოძიებამ ბრალი ლევან ნიკოლაძეს, როლანდ ბახტიძესა და ისიდორე ჟორჟოლიანს დასდო. დანაშაული სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე ბრალდებულებმა წარდგენილი ბრალი უარყვეს. სასამართლომ კი დაადგინა, რომ მათი დამნაშავედ ცნობისთვის გამოძიების დროს გამოკვლეული ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები საკმარისი არ იყო.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ლევან ნიკოლაძე, როლანდ ბახტიძე და ისიდორე ჟორჟოლიანი უდანაშაულო ცნო და მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

კვლევის შედეგები



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა ჟურნალისტებს საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული სასამართლოს მომხმარებელთა კვლევის შედეგები გააცნო. ოქტომბერში ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხული მოქალაქეების 72 პროცენტი აცხადებს, რომ ენდობა სასამართლოს.

კვლევა განხორციელდა 8 საქალაქო და რაიონულ სასამართლოში. სულ გამოიკითხა 2765 მოქალაქე, რომელიც გამოკითხვის დროისთვის იმყოფებოდა სასამართლოში.

სასამართლოს მიმართ მოქალაქეების დამოკიდებულების შეფასება შემდეგი პარამეტრების მიხედვით მოხდა: საქმეთა განხილვის ვადები, სასამართლოს თანამშრომელთა მხრიდან დამოკიდებულება, ინფორმაციის გაცემის პროცედურების სიმარტივე, ნდობის მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ ყველა პარამეტრის მიხედვით, მდგომარეობა სასამართლოებში დადებითად ფასდება, რაც, საბოლოო ჯამში, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაში გამოიხატება.

"აღნიშნული კვლევა განსაკუთრებული და გამორჩეული იყო იმითაც, რომ სასამართლოებში მისული მოქალაქეები ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის მიმართულებებით ცალ-ცალკე გამოიკითხნენ. კვლევის მიხედვით, 72 პროცენტი ენდობა სასამართლოს, 14 პროცენტი კი - არ ენდობა," - აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომლის თქმითაც, ბოლო წლების მანძილზე, საერთაშორისო ორგანიზაციების თუ საკუთარი რესურსებით ჩატარებულმა გამოკითხვებმა, რომელთაც სისტემატური ხასიათი აქვს, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთა - ქართული მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის დინამიკა ბოლო ხუთი წლის მანძილზე საგრძნობლად გაზრდილია.

2005 წელს მოსახლეობის დაახლოებით 35 პროცენტი აცხადებდა სასამართლოს ნდობას, 2011 წლის ოქტომბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით კი, ნდობის მაჩვენებელი 72 პროცენტამდეა გაზრდილი.

"ეს მეტყველებს იმ ტენდენციაზე, რომ 2005 წლიდან, მას შემდეგ, რაც რეფორმა დაიწყო, სასამართლოს მიმართ მოქალაქეთა ნდობა მუდმივად იზრდება. ეს კი, რეფორმების შედეგად მივიღეთ," - აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მისივე თქმით, მიუხედავად ასეთი მაღალი შედეგისა, სამუშაო კვლავ ბევრია.

"ჩვენი სურვილია, ნდობა უფრო მეტი იყოს. მომავალ წლებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრულად ამოქმედებასთან ერთად ეს ნდობა კიდევ უფრო მაღალი გახდება," - მიიჩნევს კოტე კუბლაშვილი.

როგორც სასამართლოებში აცხადებენ, კვლევას აქვს ერთი უმთავრესი დანიშნულება - სასამართლოებში არსებული პრობლემების დანახვა, მათი ანალიზი და სიტუაციის გამოსწორებაზე მუდმივი ზრუნვა.

მორიგებით დასრულებული სამართლებრივი დავის უპირატესობა

რა უპირატესობა აქვს მხარეებს შორის დავის მორიგებით დასრულებას და რა ვალდებულება აკისრია სასამართლოს მხარეების მორიგების პროცედურასთან დაკავშირებით; როგორ ფორმდება მხარეებს შორის სამართლებრივი მორიგება და ვინ არის მისი დაცვის გარანტი? - ეს შეკითხვები ხშირად აქვთ არა მარტო იმ მოქალაქეებს, რომელთა საქმეც უკვე განიხილა სასამართლომ და შესაბამისი გადაწყვეტილებაც გამოიტანა, არამედ იმათაც, რომელთა საქმეც სასამართლოში განხილვის ამა თუ იმ ეტაპზეა. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მხარეებს მართლაც სურთ დავა მორიგებით დაასრულონ, თუმცა, გარკვეული თუ გაურკვეველი პრინციპების გამო უკან აღარ იხევენ და პრობლემის მარტივად, ერთმანეთთან მორიგებით გადაწყვეტაზე კატეგორიულ უარს ამბობენ. არადა, დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება მხარეთა მორიგებაა, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც საქმის სასამართლო განხილვამდე, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

დავის მოგვარება მხარეებს შეუძლიათ მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებას ვერ მიარწევენ, მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებისას მოსამართლე არკვევს, ხომ არ სურთ მხარეებს საქმის მორიგებით დამთავრება. რაც მთავარია, სასამართლო ვალდებულია, ყველანაირად შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა იმისთვის, რომ მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ.

გარდა ამისა, მოსამართლე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირების დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს.

მოსამართლეს ასევე შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები.

საქმე ისაა, რომ მორიგებისას სადავო საკითხის გადაწყვეტა ხდება გაცილებით უფრო სწრაფად და მარტივად, ვიდრე სსამართლოს მიერ საქმის განხილვის და გადაწყვეტის შემთხვევაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სასამართლო განხილვა გაცილებით მეტ დროს მოითხოვს.

მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისთვის კანონით გათვალისწინებულია 2 თვე. რთული კატეგორიის საქმეებზე კი - 5 თვე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მხარეებმა შეიძლება ისარგებლონ სამივე ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლებით, შესაძლოა, დავა გაგრძელდეს საკმაოდ დიდხანს.

მორიგებისას საჭიროა მხოლოდ მხარეების დიალოგის გზით სადავო საკითხებზე შეთანხმება. მხარების მორიგეა ფორმდება მორიგების აქტით, რომლის დაცვის გარანტიც ხდება სასამართლო.

გარდა დროის დაზოგვისა, დავის მორიგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა დაკავშირებულია ხარჯებთან. სახელმწიფო ბაჟის გარდა, რომლის ოდენობამ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, შესაძლოა, 100 ლარიდან 5000 ლარამდე მიაღწიოს, მხარეს ასევე ეკისრებათ პროცესის სხვა ხარჯების გადახდაც, რაც მოიცავს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ადვოკატის მომსახურების, მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად გაწეულ, მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისთვის გადასახდელ თანხას და სხვა ხარჯებს. ამ ყველაფრის შემდეგ კი არ არსებობს იმის გარანტია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარეებისთვის სასურველი იქნება.

დავის მორიგებით გადაწყვეტა გაცილებით ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული. რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ეტაპზე მოხდება მხარეებს შირის მორიგება.

თუ მხარეები მორიგდებიან სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მაშინ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება. ხოლო თუ მხარეებს შორის მორიგება მოხდება სასამართლოს მთავარ სხდომამდე, ასეთ შემთხვევაში, მხარე მთლიანად გათავისუფლდება, სასამართლო ბაჟისგან.

მორიგების მნიშვნელოვანი უპირატესობა ასევე არის ის, რომ ასეთ შემთხვევაში, მხარეები დავის ძირითად, პრობლემატურ საკითხებზე შეთანხმებით, ჯერდებიან იმ პოზიციაზე, რომელიც ორივე მხარისთვის მაქსიმალურად მისაღებია.

სასამართლოს ქრონიკა
7 ნოემბერი, 2011 წელი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი პროცესი

უახლოეს პერიოდში, ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში პირველად, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, სასამართლო პროცესი შედგება. მიუხედავად იმისა, რომ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი ოფიციალურად ერთი წლის წინ ამოქმედდა, ნაფიც მსაჯულთა ჟიურის დღემდე არც ერთი საქმე არ განუხილავს. ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის ამოქმედებიდან დღემდე, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის მუხლით, რამდენიმე საქმე იყო აღძრული, თუმცა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეს საქმეები იმ მიზეზით არ გადაეცა, რომ ბრალდებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებდნენ. 7 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პირველი სხდომა გაიმართება, რის შედეგაც, არჩეული მსაჯულები პირველად შეიკრიბებიან და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობისა და ყაჩაღობის ბრალდებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმის განხილვას დაიწყებენ.

"თბილისის საქალაქო სასამართლო მომზადებული ხვდება მართლმსაჯულების ამ ახალ სისტემას. ასეთი სახის სასამართლო პროცესი პირველი პრეცედენტია ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში და შესაბამისად, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს როგორც სასამართლოს რეფორმის, ასევე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში, ვინაიდან მართლმსაჯულების განხორციელებაში ერთვება თავად საზოგადოება და მხოლოდ საზოგადოება წყვეტს ბრალდებულის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის საკითს, - აცხადებენ სასამართლოში.

ნაფიც მსაჯულთა პირველ სასამართლოს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის საქმის განხილვა მოუწევს. საუბარია 17 წლის წინ მომხდარ გახმაურებულ დანაშაულზე - მინასიანების ოჯახის რამდენიმე წევრის მკვლელობაზე. საქმე შსს-მ ერთ თვის წინ გახსნა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში და მთავარ პროკურატურაში მაშინ განმარტეს, გამოვლინდა გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე საშიში და განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული დანაშაულებრივი დაჯგუფება. სამართალდამცველებმა დაჯგუფების სამი წევრი - გიორგი ოთარაშვილი, რევაზ დემეტრაშვილი და ალექსანდრე რევაზიშვილი დააკავეს. მათ თანამზრახველებზე კი ძებნაა გამოცხადებული.

მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტისა და შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ დადგინდა, რომ დანაშაულებრივი დაჯგუფების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ვახტანგ გვრიტიშვილია. ჯგუფის წევრები იყვნენ მისი ძმა კობა გვრიტიშვილი, ასევე გიორგი ოთარაშვილი, გელა ქავთარაძე, რევაზ დემეტრაშვილი, ალექსანდრე რევაზიშვილი და გარდაცვლილი მალხაზ მოდებაძე.

გამოძიების მასალების მიხედვით, ჯგუფის წევრებმა იცოდნენ, რომ ნეშან მინასიანის ოჯახი მატერიალურად შეძლებული იყო და ფულის გამოძალვის მიზნით, 1994 წლის 18 იანვარს, მოიტაცეს მისი 19 წლის ვაჟი ვაზგენ მინასიანი, ახლობლებს კი გამოსასყიდის სახით, 150 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვეს. გამტაცებლებს გატაცებული 10 დღის განმავლობაში ჰყავდათ დამწყვდეული ჯერ ორმოში, შემდეგ კი - დიღომში მდებარე ერთ-ერთ სახლში. გამოძიების ინფორმაციით, 15 000 დოლარის გადახდის შემდეგ, გამტაცებლებმა ვაზგენ მინასიანი გაათავისუფლეს და მისი ოჯახისგან მიიღეს პირობა, რომ დარჩენილ თანხას უახლოეს დღეებში მიიღებდნენ. საქმის მასალების მიხედვით, იმ მიზნით, რომ გატაცების ფაქტი არ გახმაურებულიყო, ჯგუფის წევრებმა მოკლეს ნეშან მინასიანი, მისი მეუღლე ფლორა მინასიანი და ვაჟი - ვაზგენ მინასიანი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 17 წლის წინ მომხდარ დანაშაულში ბრალდებულების დაკავების სპეცოპერაციის დეტალები არ გაუხმაურებია. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ გიორგი ოთარაშვილს, რევაზ დემეტრაშვილსა და ალექსანდრე რევაზიშვილს ვერდიქტს ნაფიც მსაჯულებთა ჟიური გამოუტანს. მინასიანების ოჯახის წევრების მკვლელობაში ბრალდებული პირების საქმეზე მოსამზადებელი სასამართლო სხდომა, რომელიც დახურული იყო, თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ გაიმართა.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე, მოსამართლე მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, 18 წელს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეთა ერთიანი სიიდან შეადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას. შერჩევის სხდომაზე გამოცხადებულ კანდიდატთაგან, მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, შეირჩევა 12 ნაფიცი მსაჯული და 2 სათადარიგო მსაჯული..

ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება შევა, რომელიც ნაფიც მსაჯულებს ეხება. არსებული კანონპროექტით, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატება 367-ე პრიმა მუხლი, რომელიც ნაფიც მსაჯულს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობას დააკისრებს. კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა დაისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე.

სანქციები ნაფიც მსაჯულთათვის

ნაფიცი მსაჯული თუ დაარღვევს სასამართლოს წინაშე მის მიერ დადებულ ფიცს და გათქვამს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოს, რომელიც მან კანონით, არასდროს უნდა გაამჟღავნოს, მას პატიმრობა ელის. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ეს და სხვა რამდენიმე ცვლილება უახლოეს მომავალში შევა და ისინი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეეხება.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის კანონპროექტით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატება 367-ე პრიმა მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევის კრიმინალიზაციას.

"ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე," - ასე დაკვალიფიცირდება ხსენებული მუხლი და აქამდე არსებული მორალური პასუხისმგებლობის გარდა, ნაფიცი მსაჯულს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დაეკისრება.

სასამართლო განხილვისას ნაფიცი მსაჯული არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაჯარიმდება 1000-დან 1500 ლარამდე, ხოლო თუ ნაფიცი მსაჯული მისთვის დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებს, ან არაჯეროვნად შეასრულებს დაჯარიმდება 1000-დან 1500 ლარამდე.

ეს ნორმა ყველა ქვეყანაში მოქმედებს, სადაც კი ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი არსებობს. ამ ცვლილებით, ნაფიცი მსაჯულების დასაცავად კიდევ ერთი ბერკეტი შეიქმნება, რადგან ამ შემთხვევაში, კენჭისყრის თათბირის საიდუმლოება მოწოდებულია იქეთკენ, რომ კონკრეტული დამნაშავისთვის არ გახდეს ცნობილი, თუ რომელმა ნაფიცმა მსაჯულმა, რა პოზიცია დაიკავა მისთვის ვერდიქტის გამოტანისას, - აცხადებენ კანონპროექტის ავტორები.

გარდა ამისა, თუ მოქმედი საპროცესო კოდექსით, საჯარო მოსამსახურეებსა და სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს სამუშაო ადგილი და ანაზღაურება უნარჩუნდებოდათ, არსებული კანონპროექტით, ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს, სამუშაო ადგილი და ანაზღაურება შეუნარჩუნდება არა მხოლოდ საჯარო სექტორში, არამედ კერძო სექტორში დასაქმებულ პირებსაც.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ნაფიც მსაჯულთა სხვა სოციალურ გარანტიებსაც, რომლის მიხედვითაც, ნაფიც მსაჯულს და მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვთ დროულად მიიღონ სახელმწიფოსგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რაც პირდაპირაა დაკავშირებული მოვალეობის განხორციელებასთან. ამასთან, დღიური, სამგზავრო ხარჯების და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. აღსანიშნავია, რომ კოდექსში გათვალისწინებულია მსაჯულთა უსაფრთხოების გარანტიები.

საქართველოს საპროცესო კოდექსში კიდევ ერთი ცვლილებაა მოსალოდნელი. აქამდე მოქმედი კოდექსით, იმისთვის, რომ საქმე არ განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, საჭიროა მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობა. კანონპროექტის მიხედვით კი, მხოლოდ ბრალდებულს შეუძლია იშუამდგომლოს, რომ მისი საქმე განიხილოს პროფესიულმა სასამართლომ და არა ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვისათვის აღარ არის საჭირო მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობა.

სასჯელი ცრუ შეტყობინებისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ ლაშა გაგნიძის საქმის განხილვა დაასრულა. მას ბრალი ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებისთვის წარედგინა.

საქმის მასალების მიხედვით, ლაშა გაგნიძემ ქორწილის გადახდა, 2011 წლის 30 აპრილს, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, რესტორან "სენატში" გადაწყვიტა. 24 აპრილს, ლაშა გაგნიძე და რესტორნის მენეჯერი შეთანხმდნენ, რომ იგი ორი დღის განმავლობაში ბეს სახით წინასწარ 2000 ლარს გადაიხდიდა. ფულადი თანხის გადახდის მიზნით, გაგნიძე მართლაც მივიდა რესტორანში, თუმცა "სენატში" საქორწინო დარბაზები უკვე დაკავებული იყო, რის გამოც, მან ვერ მოახერხა საქორწინო სუფრის შეკვეთა. არადა, ამ დროისთვის ლაშა გაგნიძეს სტუმრები, რესტორან "სენატში" უკვე დაპატიჟებული ჰყავდა. მას მოერიდა მათთვის განმარტების მიცემა და გადაწყვიტა ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება განეხორციელებინა, ვინაიდან, იფიქრა, რომ შეტყობინება გამოიწვევდა სრულ ქაოსს და ის მოახერხებდა სტუმრებისთვის რეალური მიზეზის დამალვას.

ლაშა გაგნიძე სტუმრებთან ერთად რესტორანში მივიდა. დაახლოებით 17:50 წუთზე მან მისი მეუღლის სარგებლობაში არსებული სილქნეტის უკაბელო ტელეფონიდან საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის რადიოსადგურ 022-ის ოპერატორთან დარეკა და განახორციელა ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება, თითქოსდა რესტორან "სანატში" იყო ბომბი.

სასამართლო განხილვისას ლაშა გაგნიძემ სრულად აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული. გარდა ლაშა გაგნიძის აღიარებითი ჩვენებისა, მის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დადასტურდა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებებით, სატელეფონო საუბრების კრებსებით, ფონოსკოპიური ექსპერტიზის დაკვნით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება და ლაშა გაგნიძეს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც 2 წელსა და 6 თვეს მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის, ხოლო დარჩენილი 2 წელი ჩაეთვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.